

ციფრული მაუწყებლობა და Z თაობის ყურების პრაქტიკა: კვლევა კულტურული ინდუსტრიისა და ჰაბიტუსის კონტექსტში

ბილგე კალკავანი
ზიუბეიდე გამზე შაჰინი

საკვანძო სიტყვები: კულტურის ინდუსტრია, ჰაბიტუსი, მოხმარებისა და კმაყოფილების მიდგომა, ზუმერები, ციფრული მედია, ხელოვნება.

ზუმერებმა (თაობა Z), ანუ 2000 წლის შემდგომ დაბადებულებმა, ცხოვრებასა და მედიის მოხმარებაზე თავიანთი მკვეთრად გამოხატული შეხედულებებით, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს ციფრული საშუალებების ჩამოყალიბებაზე. ციფრულ მასალებზე ხელმისაწვდომობა დროისა და სივრცის უგულებელყოფით ზრდის მის პოპულარობას და აქცევს მას არა მხოლოდ მედიის წარმოების და გავრცელების გზად, არამედ ხელოვნების ნიმუშების მოხმარების საშუალებადაც. ჩვენი კვლევა მოიცავს ზუმერების ქცევას მედიის გამოყენების მხრივ და ამ ქცევის გავლენას მათ პირად საკომუნიკაციო უნარებზე. ციფრულ გარემოზე სრული წვდომის წყალობით ხელოვნების ნიმუშები სწრაფად ვრცელდება, ხდება მათი მოხმარება და გამრავლება, რაც თანხმობაშია კრიტიკული თეორიის შეხედულებასთან, რომ ხელოვნება იქცევა მოხმარების საგნად კულტურის ინდუსტრიის ფარგლებში. გარდა ამისა, პიერ ბურდიეს „ჰაბიტუსის“ თეორიის და „მოხმარებისა და კმაყოფილების მიდგომის“ საფუძველზე, კვლევაში განხილულია ახალგაზრდებში ციფრული მედიის მოხმარების მოტივაცია და ნაჩვენებია, რომ ხელოვნებას სულ უფრო აქტიურად განიხილავენ, როგორც იდენტობის კონსტრუქციის და სოციალური ურთიერთობების

ინსტრუმენტად და არა მხოლოდ ესთეტიკური ობიექტის სახით. კვლევაში გამოყენებულია ხარისხობრივი მეთოდი და 18+ წლის ასაკის 50 ზუმერთან ჩატარებული სტრუქტურული ინტერვიუები. შედეგები გვიჩვენებს, რომ პირადი არჩევანი და სოციოდემოგრაფიული ფაქტორები: ასაკი, სქესი და ოჯახის სტრუქტურა განსაზღვრავს მედიისა და ხელოვნების მოხმარებას. უფრო მეტიც, მართალია, ციფრული ხელოვნების გავრცელება ხელს უწყობს კომუნიკაციას და კავშირებს, მაგრამ მან ასევე შეიძლება შექმნას სტანდარტიზებული ხელოვნების გამოცდილება. ასე რომ, კვლევა აჩვენებს, თუ რამდენად დიდი გავლენა აქვს „კულტურის ინდუსტრიის“ დინამიკას და ჰაბიტუსს ზუმერების აღქმებსა და ჩართულობაზე ხელოვნებაში.

📌 ელევზიზიამ და სატელევზიზიო კულტურამ გზა დაუთმო ციფრულ მაუწყებლობას. წარსულში ტელევზიზია ასრულებდა სოციალიზაციის, გართობის, მოტივაციის და მანიპულაციის საშუ-

ალების როლს. დღეს ეს ფუნქციები ციფრულმა მაუწყებლობამ „ჩაიბარა“. „ზუმერების“ სახელით ცნობილ, 2000 წლის შემდეგ დაბადებულთა შორის გავრცელებულ კონკრეტულ შეხედულებებს

ცხოვრებაზე და მოვლენათა შეფასებებს დიდი გავლენა აქვს მოცემულ სიტუაციაზე. ციფრული მაუწყებლობა იმდენად „მეინსტრიმი“ გახდა, რომ იგი „ხელმისაწვდომია“ ყველგან და ნებისმიერ პირობებში.

ჩვენს ცვალებად სამყაროში ზუმერების დამოკიდებულება ციფრული სფეროს მიმართ დიდ სოციოლოგიურ და კულტურულ ინტერესს იწვევს, მიუხედავად იმისა, რომ მათი ცხოვრებისეული არჩევანი ჯერ კიდევ დაუდგენელია. ეს კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მასში განხილულია ზუმერი მაყურებლების ქცევა, რომლებიც ახლა შედიან სიყმაწვილის ასაკში, ასევე მშობლების შემოფოთება ციფრული პლატფორმების მომრავლების გამო.

კვლევის მიზანია, შეისწავლოს ციფრული მაუწყებლობის გავლენა სხვადასხვა თაობაზე „კულტურის ინდუსტრიის“ კონცეფციის ფარგლებში, რომელიც ეყრდნობა კრიტიკულ თეორიას და ბურდიეს „ჰაბიტუსის“ კონცეფციას. ორივე ხაზს უსვამს მასის მომხმარებლურ ქცევას. კაპიტალისტურ წყობილებაში მედიის ინტენსიური მოხმარება და მისი სახეები განსხვავდება თაობების და, შესაბამისად, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. ჩვენი კვლევის მიზანია ზუმერების მიერ მედიის მოხმარების შესწავლა და იმის დადგენა, თუ რამდენად სწორად და ეფექტიანად იყენებენ ისინი მას. პირველ რიგში, ჩვენ გამოვიკვლევთ ახალგაზრდების მიერ მედიის მოხმარებას და დავადგენთ მნიშვნელოვან მონაცემებს მათ ცხოვრებაში დიგიტალიზაციის ადგილის და გავლენის შესახებ. გარდა ამისა, კვლევაში განხილულია ოჯახების სტრუქტურა და დამოკიდებულება ახალგაზრდების მიერ ციფრული პლატფორმების გამოყენების მიმართ.

იმის გათვალისწინებით, რომ ახალგაზრდებს შორის პოპულარობა განსაზღვრავს ზუმერების მიერ ციფრული მედიის გამოყენებას, კვლევის მიზანია, უპასუხოს შემდეგ კითხვებს:

- რით განსხვავდება ზუმერი მაყურებლების ქცევა წინა თაობებისგან?
- რა გავლენა აქვს ციფრული პლატფორმების მოხმარებას პოპულარულ კულტურაზე?
- რა გავლენა აქვს სოციალური მედიით მაუწყებლობას ახალგაზრდების ქცევაზე?

ციფრული მაუწყებლობის აღზევების შედეგად, აკადემიურ მედიასა და საკომუნიკაციო დებატებში

სატელევიზიო კვლევები მოექცა ციფრული პლატფორმების შესწავლის ჩრდილში. ამ ფენომენის სიახლე აუცილებლად ნიშნავს კვლევების სიმწირეს ამ სფეროში და, შესაბამისად, ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას განხილული საკითხის გასაშუქებლად. ჩვენი კვლევა უჩვენებს მსგავსებებს და განსხვავებებს თაობათა შორის ციფრული მედიის მოხმარებაში. ჩვენი მეთოდები ხსნის ზუმერების პერსპექტივებს და შეხედულებებს ციფრულ მაუწყებლობაზე.

თეორიული ბაზა

(ლიტერატურული მიმოხილვა)

ჩვენი კვლევა ეყრდნობა პიერ ბურდიეს სოციოლოგიას და ფრანკფურტის სკოლის მიერ წამოყენებულ „კულტურის ინდუსტრიის“ კონცეფციას. ბურდიესთვის ჰაბიტუსის კონცეფცია აღნიშნავს ყოველდღიურ ცხოვრებაში გამომუშავებულ წინასწარ განწყობებს. ჰაბიტუსი არ არის არც მკაცრად ინდივიდუალური თვისება და არც ფაქტორი, რომელიც დამოუკიდებლად განსაზღვრავს ქცევას. ჰაბიტუსი უფრო ინდივიდუალური სტრუქტურის შემქმნელი მექანიზმია, რომელიც ეხმარება პიროვნებას სტრატეგიების ჩამოყალიბებაში სხვადასხვა სიტუაციასთან თავის გასართვებად.¹ მართალია, ბევრი კომენტატორის თანახმად, ჰაბიტუსის კონცეფცია, როგორც ჩანს, კავშირშია ჩვევის კონცეფციასთან, მაგრამ, ბურდიეს მიხედვით, ჰაბიტუსი შემუშავებულია და იმყოფება ფიზიკურ სხეულში. ასე რომ, ჰაბიტუსი დაკავშირებულია პიროვნებასა და ისტორიულ მეხსიერებასთან, რომელიც ეკუთვნის აზროვნების კონკრეტულ სახეს. ჰაბიტუსი არის პრინციპი, რომელიც წარსულის გამოცდილების საფუძველზე ქმნის სტრატეგიებს და სძენს ტემპერამენტსა და ტენდენციას პიროვნების მოქმედებას. აბდულა პალაბიიკის თანახმად, ჰაბიტუსი არის იმ ტენდენციების ჯამი, რომლებიც ასაზრდოებენ ადამიანის მოლოდინებს იმასთან შეფარდებით, თუ რა უნდა მათ და რის მიღწევა შეუძლიათ ურთიერთობებში.² ამ კონტექსტში ჰაბიტუსი გამოხატავს ჩვევებს, რომლებსაც ადამიანი აყალიბებს ახალ სიტუაციასთან მიმართებით. ის ფაქტი, რომ ციფრული მაუწყებლობის მომხმარებლებს ეს პროცესი ჩვევად და მათი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად ექცევათ, დაკავშირებულია სწორედ ამ კონცეფციასთან.

1 BOURDIEU, WACQUANT, Answers, 2003, pp. 121-125.

2 PALABIYIK, On „Habitus“, 2011, p. 129.

„კულტურის ინდუსტრიის“ კონცეფცია, რომელიც შეიმუშავეს ფრანკფურტის სკოლის თეორეტიკოსებმა, შეიძლება განიმარტოს, როგორც მოგების მოტივაციის პროდუქტი, გამომუშავებული კონკრეტული იდეოლოგიის ფარგლებში, რომელიც ატყუებს ადამიანებს და ახდენს მათ სტანდარტიზაციას, რისთვისაც კაპიტალისტურ სისტემაში კულტურულ პროდუქტებს აქცევს მოხმარების საგნებად. როგორც კულაკი აღნიშნავს, აღორნოს თანახმად, „კულტურის ინდუსტრია“ არის პროცესი, რომლის ფარგლებში კულტურის ელემენტები იქცევა მოხმარების საგნებად, რომლებიც შეიძლება გავყიდოთ ან ვიყიდოთ ისევე, როგორც სხვა ნივთები.³ „კულტურის ინდუსტრია“ სპეკულირებს მასების ცნობიერ დონეზე, როცა მიმართავს მილიონობით ადამიანს. ამ კონტექსტში მასებს არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან მათი იდენტიფიცირება და სისტემის ნაწილად გადაქცევა წინასწარ ხდება. მოხმარებელი „კულტურის ინდუსტრიის“ ფარგლებში არ არის სისტემის „მეფე“: იგი პასიური ობიექტია და არა აქტიური სუბიექტი. გადამწყვეტ როლს აქ არც მასები და არც კომუნიკაციის საშუალებები ასრულებენ. გადამწყვეტი ფაქტორია მათში ჩანერგილი იდეები, ანუ დომინანტი ძალების ხმა. თეოდორ აღორნოს თანახმად, მასების მიმართ თანაგრძნობის ნაცვლად, „კულტურის ინდუსტრია“ განამტკიცებს მათ არსებულ და თითქოსდა უცვლელ მენტალობას და იყენებს მას თავის სასიკეთოდ. მენტალობის გარდაქმნის საკითხი სრულიად იგნორირებულია. შედეგად, იდეოლოგიური საფუძველი და არა მასები წარმოადგენს „კულტურის ინდუსტრიის“ საზომს.⁴

„კულტურის ინდუსტრიის“ ფარგლებში ტელევიზია არის მოხმარების ძირითადი ობიექტი. ტელევიზია არის არა უბრალო თავშესაქცევი, არამედ პროცესი, როცა მაყურებელი იღებს კონკრეტული იდეოლოგიის ფარგლებში კონკრეტული მიზნით შექმნილ გზავნილებს. ჯონ ფისკეს თანახმად, აუდიტორია ინახავს და აძლიერებს სოციალურ ურთიერთობებს ტელევიზიასთან „ჩართულობის“ შესანარჩუნებლად.⁵ როგორც ნეილ პოსტმანი აღნიშნავს თავის ნაშრომში „ტელევიზიის შესახებ“, ტელევიზიის მთავარი ფუნქციაა გართობა, რო-

გორც ამ მედიუმის ყველა დისკურსის მეტაიდეოლოგია. არ აქვს მნიშვნელობა, რამდენს უჩვენებენ ან რა რაკურსით, რადგან მთავარია იმ შთაბეჭდილების შექმნა, რომ ყველაფერი კეთდება ჩვენს გასართობად და საამებლად.⁶ მაგრამ ბოლო წლებში ტელევიზია მოექცა ციფრული მაუწყებლობის ჩრდილში.

მურატ სარისა და ჰასან ტურკერის თანახმად, კონტენტის არჩევის თავისუფლება, რომელსაც ინტერნეტი სთავაზობს მოხმარებელს, ასევე ახდენს გავლენას მაყურებლის ქცევაზე. დღეს ადამიანებს შეუძლიათ ნებისმიერი კონტენტის მოხმარება ყველგან და ნებისმიერ დროს. წვდომისა და სასურველი კონტენტის ყურების სურვილმა მასებში უზიძგა მედიის მესვეურთ ახალი გარემოს შექმნისკენ, რომელიც აკმაყოფილებს ამ სურვილს სხვადასხვა ფუნქციის ანუ ციფრული პლატფორმის მეშვეობით.⁷ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის კვალდაკვალ შეიცვალა სატელევიზიო ფორმატიც, ხოლო წარსულში მხოლოდ ტრადიციული ტელევიზიით გადაცემული სერიალები და ფილმები ახლა ციფრულ სატელევიზიო პლატფორმებზე გადის. როგორც მეშვეთ ბურჩი და ემელ მაზიჩი აღნიშნავენ, ციფრული სტრიმინგის პლატფორმებს: Netflix, Amazon Prime და BluTV, რომლებიც ბოლო წლებში ძალიან პოპულარულნი გახდნენ, მთელ მსოფლიოში უყურებენ, მათ შორის თურქეთშიც. ამის მიზეზია აუდიტორიების მოსაზრება, რომ ციფრული ტექნოლოგია უზრუნველყოფს უფრო მაღალ ხარისხს და მდიდარ კონტენტს, რაც პასუხობს მათ საჭიროებებს ყურების, გართობის და მოხმარების თვალსაზრისით.⁸

მასობრივი კომუნიკაციების თეორიების განვითარების კვალდაკვალ აუდიტორიის ანალიზი სულ უფრო აქტიურად ეყრდნობა მასობრივი კომუნიკაციების ინსტრუმენტების ეფექტს აუდიტორიაზე, რომელმაც მოხმარებისა და კმაყოფილების მიდგომის წყალობით შეიძინა ახალი განზომილება. კომუნიკაციების კვლევის ტრილში ამ საკითხის განსახილველად აუცილებელია მოხმარებისა და კმაყოფილების მიდგომის გათვალისწინება. სიბელ ქარადუმანისა და ნაგიან უნლუ კარატაჩის თანახმად, მედიის გავლენა პიროვნებაზე, რო-

3 KULAK, Theodor, 2017, p. 88.

4 ADORNO, Culture, 2014, p. 110.

5 FISKE, Understanding, 2012, p. 186.

6 POSTMAN, Television, 2014, p. 102.

7 SARI, TÜRKER, A Study, 2011, p. 61.

8 BURÇ, MAZICI, Digital, 2023, p. 138.

გორც აუდიტორიაზე, გადაიზარდა მედიაზე პიროვნების გავლენის საკითხში, რითაც აქცენტმა გადაინაცვლა თავად აუდიტორიაზე.⁹ ისმია ოზმენის მიერ აღწერილი მოხმარებისა და კმაყოფილების მიდგომის თანახმად, საზოგადოების წევრები იყენებენ მედიას საკუთარი საჭიროებების შესაბამისად. კაცი, ბლუმერი და გურევიჩი აცხადებენ, რომ მედიის მიერ დაკმაყოფილებულ საჭიროებებს სოციალური საფუძველი აქვს, ხოლო მოხმარებისა და კმაყოფილების მეცნიერება ეფუძნება 5 პრინციპს:¹⁰

- აუდიტორია აქტიურია, მისი წევრები არ არიან პასიური მიმღებები ყველაფრისა, რასაც მედია მათ აწვდით. ისინი თავად ირჩევენ და მოიხმარენ კონტენტს.
- მაყურებლები და მსმენელები თავისუფლად ირჩევენ მედიასა და პროგრამებს, რომლებიც საუკეთესოა მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.
- მედიის მწარმოებლები შეიძლება არ იცნობდნენ პროგრამების გამოყენების გზებს, ხოლო სხვადასხვა მომხმარებელს შეუძლია იმავე პროგრამების გამოყენება საკუთარი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.
- მედია არ არის საჭიროების დაკმაყოფილების ერთადერთი წყარო. შვებულება, ცეკვა და სპორტი ასევე შეიძლება იყოს ასეთი წყარო.
- მედიის მნიშვნელობის შესახებ ღირებულებებითი მსჯელობა იგნორირებული უნდა იყოს.¹¹

ზუმერები, როგორც ნამდვილი ციფრული თაობა, დაიბადნენ ციფრულ სამყაროში და განუყოფელი არიან ტექნოლოგიებისაგან. აი, როგორ განმარტავს ზუმერებს ციან თოლუსლუ: „ის, რაც განასხვავებს მათ სხვა თაობებისგან, მათი ოჯახებისა და მასწავლებლების ჩათვლით, მდგომარეობს არა მხოლოდ იმაში, რომ ისინი განსხვავებულად სწავლობენ, არამედ ისიც, რომ ისინი მუშაობენ, თამაშობენ, ერთობიან, ურთიერთობენ განსხვავებულად, ხოლო ციფრულ მედიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში“.¹²

შესაბამისად, ზუმერები შეადგენენ მასების

მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც იყენებს ციფრულ ინსტრუმენტებს. იესიმ იარდიმჩის თანახმად, თაობა, რომელიც აქტიურია ციფრულ პლატფორმებზე, ასახავს საკუთარ ურთიერთობას მედიასთან, ურთიერთობს სხვებთან და საზოგადოებასთან მედიის ფარგლებში და პოულობს თვითგამოხატვის საშუალებებს.¹³

როგორც მინე ოიმანი და სემრა აკინჩი აღნიშნავენ, ზუმერები დაიბადნენ ტექნოლოგიასთან გადაჯაჭვულ ეპოქაში და მათთვის წარმოუდგენელია სამყარო ტექნოლოგიების/ინტერნეტის გარეშე. ზუმერები მიმართავენ ციფრულ სამყაროს, როგორც პრობლემის გადაჭრის გზას, რომელიც ზოგჯერ გვევლინება YouTube საგანმანათლებლო ვიდეოს სახით, რის გამოც ისინი საათობით უყურებენ YouTube ვლოგერებს.¹⁴ დუიგუ კოჩუნის თანახმად, ზუმერები, რომლებიც ყველა გაგებით იყენებენ განვითარებად ტექნოლოგიებს, ითხოვენ შეუფერხებელ კომუნიკაციასა და კავშირგაბმულობას. მაშინაც კი, როცა მათ ფიზიკური დისტანცია აშორებთ, ისინი ვერბალურად და ვიზუალურად ეკონტაქტებიან ერთმანეთს საკომუნიკაციო ინსტრუმენტების მეშვეობით, რომლებიც მათ ჯიბეში ეტევა. ასე რომ, ლილაკის ერთი დატერით დაუძლეველი მანძილი იქცა დაძლევად დისტანციად.¹⁵

2021 წლის კვლევის თანახმად, თურქეთში ინტერნეტის მოხმარება 16-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში შეადგენს 97.1%-ს, ინტერნეტით (WhatsApp, Facetime, Viber, Messenger, Skype, Snapchat) ვიდეოზარები - 87.6%-ს, პროფილის შექმნა, კონტენტის გაზიარება (მაგ., ფოტო) სოციალურ მედიაში (Facebook, Twitter, Instagram, Snapchat) - 81.5%-ს, გზავნილები (WhatsApp, Messenger, Skype, BIP, Viber, Snapchat) - 92.1%-ს, ხოლო ინტერნეტით პროდუქტებისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის ძიება - 59.9%-ს (TÜİK, 2022). 16-74 წლის ასაკობრივ ჯგუფში ჩატარებული კვლევის თანახმად, ვიდეოების ნახვები სტრიმინგის სერვისების (Netflix, Exxen, Amazon Prime, Blu TV, puhutv, Gain) მეშვეობით შეადგენს 23.8%-ს, ხოლო გაზიარება გვერდების (მაგ., YouTube) მეშვეობით - 84.3%-ს.¹⁶

9 KARADUMAN, ÜNLÜ KARATAŞ, Digital, 2022, p. 986.

10 FISKE, Understanding, 1996, pp. 199-200.

11 ÖZMEN, Reception, 2020, pp.15-16.

12 TOĞUŞLU, Evaluation, 2021, p. 12.

13 YARDIMCI, The Importance, 2021, p. 14.

14 OYMAN, AKINCI, Vloggers, 2019, p. 449.

15 COŞKUN, Social, 2019, p. 49.

16 TÜİK, 2022.

მეთოდი

ხარისხობრივი კვლევის მეთოდის ფარგლებში ზუმერ სტუდენტებთან გამოყენებული იყო ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუს მეთოდი, ასევე კონტენტანალიზის მეთოდი, რომლითაც ახსნილია კვლევის დინამიკა და ზუმერი მომხმარებლების ქცევა. მონაცემები შეგროვდა 18 წლის ასაკის სტუდენტებს (სულ 50 რესპონდენტი) შორის, რომელთაგან 20-ის მონაცემები შევიდა კვლევაში. მონაცემთა ანალიზის მიზნით ჩატარებული ინტერვიუები წარმოდგენილი იყო თემების/ქვეთემების კოდების მოდელის სახით,

კონტენტის ანალიზის მეთოდის გამოყენებით.

მიგნებები და დასკვნები

კვლევის მთავარი თემა: „ციფრული პრაქტიკის გამოყენება პირად ურთიერთობებსა და ხელოვნებაში“ ასახავს ციფრული მედიის გავლენას ზუმერების სოციალურ ურთიერთობებზე და ხელოვნების მოხმარების მიმართ მათ მიდგომებზე. ეს თემა ეყრდნობა მონაწილეთა ყოველდღიურ რუტინას და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ციფრული გარემო განუყოფელია მათი სოციალური რეალობისა და ცხოვრების წესისგან.

კონტენტის ანალიზის მეთოდის გამოყენებისას დადგენილი თემები, ქვეთემები და კოდები:

თემა	ქვეთემები	კოდები
ციფრული პრაქტიკის გამოყენება პირად ურთიერთობებსა და ხელოვნებაში	ციფრული პლატფორმების გამოყენება	პოპულარული სოციალური პლატფორმები
		ყოველდღიურ ცხოვრებაში ციფრული მედიის ინტეგრირება (ეკრანის 3-8 საათი დღეში)
		ფირების და მოკლე ფორმატების არჩევანი
		დროსტარების და მოწყენილობის გაქარვების სურვილი
		ცოდნის მიღების და კულტურული განვითარების მოტივაცია
		საგანმანათლებლო და გასართობი კონტენტის მიმართ მიდრეკილება
	პირად ურთიერთობებზე ციფრული პრაქტიკის გავლენა	მსგავსებები რეალურ და ვირტუალურ კომუნიკაციას შორის
		კონტენტის გაზიარებით გამყარებული მეგობრობა
	მედიისა და ხელოვნების მოხმარება	
	ციფრული ხელოვნება, როგორც შუამავალი	ემოციური და ინტელექტუალური ცნობიერება
		ხელმისაწვდომობა და დროის მოქნილობა
		ტექნოლოგია, როგორც შემოქმედებითი თვითგამოხატვის ინსტრუმენტი
		ციფრული ხელოვნება, როგორც შთაგონების წყარო
	ციფრული ხელოვნება, როგორც შემზღუდველი	ნეიტრალური დამოკიდებულების არაეფექტიანობა
		მხატვრული სიღრმის აღქმის დაბალი დონე

პირველი ქვეთემა: „ციფრული პლატფორმების გამოყენება“ კონცენტრირებულია ზუმერების ჩვევებზე მედიასთან მიმართებით. ჩვენი მიგნებები ცხადყოფს დომინანტ დამოკიდებულებას ისეთ პოპულარულ პლატფორმებზე, როგორებიცაა Instagram, YouTube და TikTok. მონაწილეთა თანახმად, ისინი დღეში 3-8 საათს ატარებენ ეკრანთან და ყოველდღიურ ცხოვრებაში აქტიურად იყენებენ ციფრულ ინსტრუმენტებს. მცირე ფორმატის კონტენტის (ფირები და მოკლე ვიდეოები) პოპულარობა ეყრდნობა მის სისწრაფეს და ხელმისაწვდომობას. მოხმარების მოტივაცია მრავალწახნაგოვანია და მოიცავს გართობას, დროსტარებას, მოწყენილობისგან თავის დაღწევას, ცოდნის მიღებას და კულტურულ განვითარებას. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ ციფრული მედია ერთდროულად შეიძლება გამოვიყენოთ როგორც გართობის, ისე განათლების მიზნით. შერჩეულმა მონაწილეებმა განაცხადეს შემდეგი:

„მე უფრო ფირებს ვუყურებ... ვუყურებ, რადგან მოწყენილი ვარ“ (GZ-1).

ეს ციტატა გვიჩვენებს, რომ ციფრული მოხმარება მჭიდრო კავშირშია ყოველდღიურ მოტივაციასთან: მაგალითად, „დროის მოკვლა“ და მოწყენილობისგან თავის დაღწევა.

„ხშირად ვუყურებ მოკლე ვიდეოებს. ისინი მოკლეა და სხარტი, ამიტომაც მომწონს“ (GZ-20).

ორივე ციტატა ცხადყოფს სისწრაფისა და ხელმისაწვდომობის (მეისიერი კმაყოფილება) სასარგებლოდ გაკეთებულ არჩევანს.

მეორე ქვეთემის: „პირად ურთიერთობებზე ციფრული პრაქტიკის გავლენის“ თანახმად, კომუნიკაცია ინტერნეტში დიდი დოზით ასახავს რეალურ ურთიერთობებს. მონაწილეები აცხადებენ, რომ გაზიარებული ციფრული კონტენტი, ერთობლივი მოქმედებები და უწყვეტი კავშირები განამტკიცებენ მათ მეგობრობას. სოციალური პლატფორმები აღქმულია, როგორც სივრცე, სადაც განმტკიცებულია და განვრცობილია მეგობრული კავშირები, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ციფრული კომუნიკაცია ამდიდრებს რეალურ ურთიერთობებს და არ ანაცვლებს მათ. მონაწილეთა პასუხები:

„სოციალურ მედიაში იგივე ვარ, რაც რეალურ ცხოვრებაში“ (GZ-1).

„მადლობა ღმერთს, ჩვენ არ განვსხვავდებით რეალურ ცხოვრებაში და სოციალურ მედიაში“

(GZ-19).

ამ ტიპის აღქმული ავთენტურობა განამტკიცებს სოციალურ კავშირებს. ამგვარად, ციფრული კონტენტი ქმნის კულტურულ შეხების წერტილებს, რომლებითაც წახალისებულია კომუნიკაცია.

„როცა სასაცილო ან სასიამოვნო რამეს ვუყურებთ, უმაღლესი ვიზიარებთ მას ერთმანეთს და ყველა ხედავს ამას მაშინაც კი, როცა ერთად არ ვართ. მაშინაც კი, როცა არ ვაზიარებთ, თუკი ვიდეო სასაცილოა, ლამაზია ან საინტერესო, მთელი თურქეთი მაინც უყურებს მას. ქუჩაში უცნობებსაც კი შევიძლია ელაპარაკო ასეთ ვიდეოებზე“ (GZ-3).

„ციფრული პლატფორმების კონტენტი ალვივებს ინტერესს ჩემს მეგობრებში, ამდიდრებს ჩვენს საუბრებს და ხელს უწყობს ჩვენს კომუნიკაციას“ (GZ-1).

შესაბამისად, ციფრული კომუნიკაცია ამდიდრებს რეალურ ურთიერთობებს და არ ანაცვლებს მათ.

მესამე ქვეთემა: „მედიისა და ხელოვნების მოხმარება“ იყოფა ორ ურთიერთსაწინააღმდეგო განზომილებად: „ციფრული ხელოვნება, როგორც შუამავალი“ და „ციფრული ხელოვნება, როგორც შემზღუდველი“. ერთი მხრივ, ციფრული მედია აღიქმება, როგორც ემოციური და ინტელექტუალური ცნობიერების წყარო. ხელმისაწვდომობა, მოქნილობა დროის მხრივ და ტექნოლოგიური პოტენციალი ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარების განვითარებას და იძლევა მხატვრული თვითგამოხატვის შესაძლებლობას. მეორე მხრივ, ზოგი მონაწილე ამჟღავნებს ნეიტრალურ ან გულგრილ დამოკიდებულებას, უჩივის რა მხატვრული სიღრმის სიმწირეს სწრაფი მოხმარებისა და სტანდარტიზაციის მიზეზით. ეს კი ადასტურებს, რომ მართალია, ციფრული პლატფორმები უზრუნველყოფენ ხელოვნების ხელმისაწვდომობის დემოკრატიზაციას, მაგრამ მათ ასევე შეუძლიათ, წახალისონ მისი გადაქცევა მოხმარების საგნად და დააკნინონ მისი ორიგინალობა. მონაწილეთა ციტატები:

„მხატვრული კონტენტი, რომელსაც მე მოვიხმარ, მეხმარება უცნობი თუ მივიწყებული ემოციების განცდაში, ასევე იძლევა სხვადასხვა ინტელექტუალურ პერსპექტივას“ (GZ-9).

„ის ჩემში აღძრავს ემოციებს და ამძაფრებს სხვადასხვა შეგრძნებას, რაც ძალიან მომწონს“ (GZ-11).

ხელოვნების ხელმისაწვდომობის წყალობით

მეტ ადამიანს შეუძლია შემოქმედებით პროცესში ჩართვა. როგორც ბრიუს უონდსი აღნიშნავს, „ციფრული ხელოვნების“ ცნების აღმოცენების და ტექნოლოგიური წინსვლის კვალდაკვალ ფართოვდება ხელოვნების საზღვრებიც. ეს ციფრული ტრანსფორმაცია უწყვეტად ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს არა მხოლოდ ხელოვანთა შემოქმედებით პრაქტიკას, არამედ აუდიტორიის ემპირიულ სამყაროსაც.¹⁷

„ის, რაც ტრადიციულ ხელოვნებაში რთულად ხელმისაწვდომია, მარტივად შეიძლება იპოვო ციფრულ პლატფორმებზე. ამ ხელმისაწვდომობის წყალობით ის, ვინც ვერ შეძლო ტრადიციულ ხელოვნებაში თავისი ოცნებების ასრულება, ამ მიზანს იოლად აღწევს ციფრული ხელოვნების გარემოში“ (GZ-18).

როგორც ქრისტიან პოლი აღნიშნავს, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი კომპონენტების – ციფრული ხელოვნების ნიმუშების დაცვას არსებითი მნიშვნელობა აქვს ხელოვნების სიცოცხლისუნარიანობისა და მიუკერძოებლობისთვის ეპოქაში, როცა ტექნოლოგიები სწრაფად ვითარდება და იცვლება.¹⁸ მეორე მხრივ, მოხმარების სწრაფმა ტემპმა შეიძლება წაახალისოს მოხმარების საგნად ქცევის და მხატვრული ზედაპირულობის მოზღვაება.

ჩემი მიგნებების თანახმად, ზუმერების სოციალურ და სახელოვნებო გამოცდილებას ამდიდრებენ ციფრული პრაქტიკები, თუმცა, ამ პროცესში ისინი ასევე აწყდებიან გარკვეულ შეზღუდვებს: დიგიტალიზაციის შედეგად იცვლება კომუნიკაციის სტილი და ხელოვნების აღქმა. მიუხედავად ამისა, მხატვრული კონტენტის სწრაფმა მოხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს მხატვრული სიღრმის აღქმის დაბალი დონე, რასაც შედეგად მოაქვს ხელოვნებასთან ზედაპირული გაცნობა. კვლევის თანახმად, მიუხედავად ციფრული კონტენტის ფართო არჩევანისა, ასევე ხშირია ყურადღების გაფანტვა და კონცენტრირების ნაკლებობა. შესაბამისად, ციფრული პრაქტიკა არის მნიშვნელოვანი რესურსი ზუმერების კულტურული კაპიტალის გასაზრდელად, თუმცა, მას ასევე ახლავს რისკები და გამოწვევები კრიტიკული აზროვნებისა და მხატვრული შეფასების უნარების მხრივ. „კულტურის

ინდუსტრიის“ კონცეფციის გათვალისწინებით, მოცემული მიგნებები მიუთითებს, რომ ხელოვნებაზე სულ უფრო დიდი გავლენა აქვს ციფრული პლატფორმების ფარგლებში მოხმარების საგნად ქცევის და სტანდარტიზაციის ფაქტორებს. როგორც ბესიმ დელაოლლუ აღნიშნავს, ჩვენს ეპოქაში, რომელშიც დომინირებს „კულტურის ინდუსტრია“, ძალაუფლება იძლევა ფიზიკურ თავისუფლებას, მაგრამ რეალურ ზეწოლას ახდენს ადამიანის გონებაზე. დღეს სისტემა აღარ ითხოვს კატეგორიულად: „იფიქრე, როგორც მე“. ნაცვლად ამისა, მისი გზავნილია: „შენ შეგიძლია იფიქრო განსხვავებულად; შენ შეგიძლია იცხოვრო, როგორც გსურს, და გქონდეს, რაც გსურს, მაგრამ ამიერიდან შენ აღარ იქნები ერთ-ერთი ჩვენგანი“.¹⁹

ამ კონტექსტში, კულტურის წარმოებისა და მოხმარების პროცესებით ფორმირებული ცხოვრების საერთო პრაქტიკის ფარგლებში, შეიძლება ითქვას, რომ ზუმერებს აერთიანებთ საერთო გემოვნება, ქცევის მოდელები და ციფრული ჩვევები, რაც მათ გარკვეული თვალსაზრისით ერთგვაროვან თაობად წარმოაჩენს. გარდა ამისა, ჰაბიტუის თვალსაზრისით, ახალგაზრდების არჩევანზე გავლენა აქვს სოციოკულტურულ სტრუქტურებს, რომლებიც წარმართავენ მათ მედია პრაქტიკას. ფატი ბაირამის თანახმად, მოხმარებისა და კმაყოფილების თეორია ეჭვის ქვეშ აყენებს მაყურებელთა გულწრფელ კმაყოფილებას თავიანთი არჩევანით. აქ კმაყოფილება ნიშნავს, თუ რამდენად მოსწონს მაყურებელს მის მიერ არჩეული კონტენტი თუ მედიასაშუალება.²⁰ ზუმერებში შეგროვებული მონაცემები ადასტურებს მაყურებელთა კმაყოფილების მაღალ დონეს. შედეგად, მოხმარებისა და კმაყოფილების მიდგომის თანახმად, ზუმერები აქტიურად იყენებენ ციფრულ კონტენტს ისეთი პირადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, როგორებიცაა გართობა, ინფორმაცია, იდენტობის ჩამოყალიბება და სოციალური ურთიერთობები, რასაც ეფუძნება მათი, როგორც შერჩევითი და მიზანზე ორიენტირებული მედია მომხმარებლების, როლი.

17 WANDS, Art, 2006, p. 10.

18 PAUL, Digital, 2015, p. 22.

19 DELLALOGLU, Art, 2014, p. 117.

20 BAYRAM, A Uses, 2008, p. 323.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ADORNO Theodor W., Culture Industry, Cultural Administration, İstanbul, 2014.
- BAYRAM Fatih, Uses and Gratifications Study on Newspaper Readers' Reading Motivations and Gratifications, Anadolu University Journal of Social Sciences, 8(1), pp. 321–336, 2008.
- BOURDIEU Pierre, WACQUANT Loïc J. D., Answers for a Reflexive Anthropology, İstanbul, 2003.
- BURÇ Murat, MAZICI Esra, Digital Broadcasting as an Agent of Culture Industry: A Case Study on Digital TV Platforms, JCSS, (3), pp. 133–166, 2023.
- COŞKUN D., Social Media Usage Habits of Generation Z Students (Master's thesis), Beykent University, 2019.
- DELLALOĞLU Bülent, Art and Society in the Frankfurt School, İstanbul, 2014.
- FISKE John, Understanding Popular Culture, Trans.: S. İrvan, İstanbul, 2012.
- KARADUMAN Sinem, KARATAŞ Neslihan Ünlü, Digital Broadcasting and Viewing Practices: An Analysis on „Gain“, İstanbul Commerce University Journal of Social Sciences, 21(45), pp. 982–1007, 2022.
- KULAK Ömer, Theodor Adorno: Culture under the Grip of the Culture Industry, İstanbul, 2017.
- OYMAN Mine, AKINCI Semra, Vloggers of Social Media Influencers: A Study on Parasocial Relationships, Purchase Intention, and YouTube Behaviors on Generation Z., Akdeniz Communication Journal, pp. 441–464, 2019.
- ÖXMEN İ., Reception of Digital Platforms in the Context of Uses and Gratifications: The Case of Netflix and BluTV (Master's thesis), Fırat University, 2020. →
- PAUL Christiane, Digital Art, London, 2015.
- PALABIYIK Ali, On „Habitus“, „Capital“ and „Field“ in Pierre Bourdieu's Sociology, Liberal Thought, 2011.
- POSTMAN Neil, Television: The Killer Entertainment, Trans.: O. Akınhay, İstanbul, 2014.
- SARI Ümit, Türker Halil, A Study on the Level of Digital Literacy: Turkey's First Digital Literacy Map, In E. Doğan (Ed.), Current Debates in Film & Media Studies, 2011.
- TOĞUŞLU Cihan, Evaluation of Audience Habits After Digital Platforms by Generations (Master's thesis), Işık University, 2021.
- TÜİK, Information and Communication Technology (ICT) Usage Survey, Retrieved from (URL removed per guidelines), 2022.
- WANDS Bruce, Art of the Digital Age, Trans.: Osman Akınhay, İstanbul, 2006.
- YARDIMCI Yeşim, The Importance of Media Literacy in Examining the Values and Social Media Usage Habits of Generation Z: The Case of Sakarya University Faculty of Communication (Master's thesis), Sakarya University, 2021.

DIGITAL BROADCASTING AND THE VIEWING PRACTICES OF GENERATION Z: A STUDY IN THE CONTEXT OF CULTURAL INDUSTRY AND HABITUS

Bilge Kalkavan
Zübeyde Gamze Şahin

Keywords: Culture industry, habitus, uses and gratifications approach, generation z, digital media, art.

Generation Z, born after 2000, has significantly shaped digital publishing through their distinct perspectives on life and media consumption. The accessibility of digital content regardless of time and space increases its popularity, transforming not only the production and circulation of media but also the way artworks are consumed. This study focuses on Generation Z's media viewing habits and how these habits influence their interpersonal communication skills. Unlimited access to digital environments enables artworks to be rapidly circulated, consumed, and reproduced, which aligns with the Critical Theory perspective that art becomes commodified within the "culture industry." Additionally, using Bourdieu's "habitus" theory and the Uses and Gratifications Approach, the study examines young people's motivations for digital media use, showing that art is increasingly seen as a tool for identity construction and social interaction rather than solely an aesthetic object. The research employs a qualitative method through structured interviews with 50 Generation Z participants aged 18 and over. The findings indicate that personal preferences and socio-demographic factors such as age, gender, and family structure shape digital media and art consumption. Furthermore, while digital art circulation facilitates communication and connection, it may also create limitations by standardizing artistic experience. Thus, the study demonstrates how culture industry dynamics and habitus collectively influence Generation Z's perception and engagement with art.

Introduction

Television and television culture has given way to digital broadcasting. Television functioned as a medium for socialization, entertainment, motivation, and manipulation, functions that have now been passed on to digital broadcasting. The particular perspectives on life and ways of evaluating events of those born after 2000, which is known as Generation Z, have had a great impact on this situation. Digital broadcasting has become so mainstream because it is "accessible" anywhere and under any circumstances.

In this changing world, the attitudes of Genera-

